№ 154 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 22, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ 1892 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 22, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ № 154

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—კრთი შაური

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავშჩალის ქუჩაზედ; გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სთამბულ-აზნაურთ ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲨᲕᲘᲓᲛᲔᲢᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 24 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ.

ᲐᲛ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲡ ᲐᲗᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲐ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲯᲣᲠᲬᲐ ᲓᲐᲘᲙᲕᲔᲗᲝᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲛ 1892 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲐᲗᲝᲗ:

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასითანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო მასზედ ხელის მეგებელ იქნება მარტო ამ სულის-მოძმეური წესაზე, კინც გაზეთის დაკვეთასთვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნიან.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

გამოვიდა ისტორიული თხზულება ანტონ ფურცელაძისა:

ᲒᲠᲫᲝᲚᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲡᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ,

ანუ

გიორგი საკაძე და მისი დრო.

იყიდება ტფილისს და სხვა ქალაქებში, სადაც-კი აქვს ქართული წიგნების გამომცემსაზოგადოებას წიგნთსაწყობები. იყიდება აგრეთვე წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში,

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲡ 580 ᲒᲕᲠᲔᲓᲡ.

ᲤᲐᲡᲘ 1 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲒᲐᲠᲔᲓ ᲘᲡᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ ᲮᲚᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

იყიდება „ამხნაგობის“ მიერ გამოცემული

ᲩᲐᲜᲒᲝ,

ახლად შედგენილი ვ. აბაშიძის მიერ ამ წიგნებში გადმობეჭდილია აგრეთვე პირველი ნაწილიდგან საუკეთესო სცენები და ლექსები

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

უბრუნველობა და სიმხდალე.—პტყელ-პტყელის მოლაქლაქენი,—უთავო გორი,—საყვირნი ინერიგონსსნნი.

ჯერ იანვარშივე გავარდა ხმები, რომ ინდოეთში თავი იჩინა ხოლერამაო. ბაქოელებმა იცოდნენ, რომ ეს საშინელი ჭირი თანდათან იდგამს ფეხსა და ვრცელდება დასავლეთისაკენ. აგერ კიდეც გადმოაბიჯა მეშველმიის, სადაც ისეთი მძვინვარება გამოიჩინა, რომ დღეში ხუთასამდე ავიდა მისი მსხვერპლი. ყოველივე ესენი ცხადი იყო ბაქოსთვის, მაგრამ ყურსაც არ იბერტყდა. აგერ ინერ-კასპიის მიდამოშიაც ამოჰყო თავი. ჩვენი უმაღლესი მთავრობა პეტერბურგში დაფაცურდა, ბძანებაც გასცა შაისის დასაწყისშივე, რომ საჭიროდ მიეშველებინათ ექიმები და ეგზიშიერ-კასპიის მხარეშივე შეეფერხებინათ ხოლერა. თავისი ბძანება დეპეშებით გაგზავნ-გამოგზავნა სამინისტროამ, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ყოველ ბრძანებას აღსრულება უნდა და, საუბედუროდ, სწორედ აღმასრულებელნი დროზედ არ შეუდგნენ საქმეს და ხოლერამ გაუსვა თავისი მჭეელი ცელი კასპიის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზედ. ბაქო მაინც ყურს არ იბერტყდა: კასპიის ზღვას ვერ გადმოაბიჯებს ხოლერაო. თუმცა ყოველთვის, როდესაც აზიის ხოლერას აუდგამს ფეხი და კარიკაურს ულვია სტუმრად, ისეთი თავაზიანი ყოფილა, რომ თავის დღეში არ უწყენინებია ბაქოსთვის, მუდამ სწვევია და მწვევე ნასახიც დაუმჩნევია, მაგრამ ბაქოელნი მაინც უზრუნველად იყვნენ. აგერ 5 ივნისს გავარდა ხმა, რომ გემს ხოლერიანი ავადმყოფი მოჰყავ და ბაქოში გარდაიცვალაო. ბაქო მაინც წარბს არ იხრიდა. ჩვენი ეფიქროობდით—სწორედ ვაჟკაცურის გულადობით და უშიშრობით მოსდის ეს ამბავი ბაქოსაო. მაგრამ მალე დაგვანახვეს ბაქოელებმა თავიანთი ნამდვილი ვინაყვანიათ. გარდაიცვალა 3 კაცი: ტერ-მარტიროზოვი, ოსიპოვი და კალუგინი. გადიყვანეს სხვა განყოფილებაში ერთი კაცი—ჟარკოვი. დილით, 21 ივლისს, იყო ავად: 6 კაცი და 4 ქალი.

მიხეილის სამკურნალოს გარეშე სწამლობენ: ლაშკაროვს, 35 წლისას (ამატუნის ქუჩა, სახლი ჯავახიშვილისა); ქალს სამსახურიდგან გადამდგარ გადამწერლისას სოფიო კადეშვილსას, 20 წლისაა (1 ნაწ. ახალი ჰოლანდია, სახლი № 42); პოლიციმეისტერის კანცელარიის გამგებელის მოვალეობის აღმასრულებელი ლეონარდ სპეგალსკი (ელისაბედის ქუჩა, № 86) და მიხეილ აბაზოვი (10 ნაწ. ნორიოოს ქუჩა, საკუთარი სახლი).

მეტეხის საპატიმროს სამკურნალოში გაგზავნეს ტუსაღი სერგო თომაშვილი.

ქალაქის საქალებო სამკურნალოდგან გაგზავნეს სამხედრო გოსპიტალში ელისაბედ ჯიბუტი. ავად გახდა 19 ივლისს.

ტფილისის მაზრის უფროსი იუწყება: წყნეთში ავად გახდა ხოლერით ერთი კაცი; სოფ. გოუბანში 14 ივლისს ავად გახდა სამი, მოკვდა ორი.

გორის მაზრის უფროსი იუწყება:—20 ივლისს გორში ავად გახდა ხოლერით: სტეფანე სომხიშვილი, იოსებ სამსონოვი, იოსებ სოტნიაშვილი, ისაკ მაჩაბელიშვილი და პავლე მანჩხაშვილი. 20 ივლისს არავინ გადაცვლილა. ავად 10 კაცია.

20 ივლისს ბორჯომში გარდაიცვალა მარია პორტნოვი. საციხურში გარდაიცვალა ერთი გლეხის დედაკაცი. რუისშიც მოკვდა 19 ივლისს ერთი ავადმყოფი. სოფ. ურბნისში მოკვდა ერთი დედაკაცი; 20 ივლისს სამი ავადმყოფი-ღა დარჩა. სოფ. ცხრამუხაში გარდაიცვალა ერთი გლეხი. საქართველოს სამხედრო გზაზედ, დიღმის საყარაულოსთან, იპოვეს გვამი ხოლერით გარდაცვალებულისა, სიღნაღის მაზრის, სოფ. ბაკურ-ციხის მცხოვრებისა, ბაგრატა ზაქარიაშვილისა.

სიღნაღის მაზრის უფროსი იუწყება: დედოფლის წყაროზედ დაბინავებულ გადმოსახლებულთა შორის, 16 ივლისს, კიდევ გარდაიცვალა ერთი დედაკაცი. სხვა აღარავინ გამხდარა. ზემო მაჩხაანში და მირზაანში ავად გახდა 3, მოკვდა ერთი. სამინვე ავად გამხდარან შირაქის მინდორში.

ბორჩალოს მაზრის უფროსი იუწყება: სოფ. კაჩულოს ახლოს იპოვნეს ხოლერით ავადმყოფი სპარსელი, რომელიც გარდაიცვალა 14 ივლისს. სოფ. ძველ-ქვეშში გარდაიცვალა ჩაფარი ყარა ჰუსეინ-ოღლი.

სოფ. ჯიდაურში, დუშეთის მაზრა, 16—21 ივლისამდე ავად გახდა 17, გარდაიცვალა 10; სოფ. ბიწვინეში გარდაიცვალა ერთი. სოფ. ზეიდლიანთკარში ავად გახდა 5 კაცი, გარდაიცვალა 4.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** შაბათს, 18 ივლისს ჩამობრძანდა შიო-მღვიმის მონასტრიდგან ეპისკოპოსი ალექსანრრე და კვირას, 19 ამ თთვეს სიონში სწირა. შემდეგ წირვისა სიონს კრებულიფურთ გადიხადა პარაკლისი გასარინებელად ხოლერისა და ტაძარს შემოუარა გარეშემო ლიტანიით.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ს. ე—საგან 3 მან. და თებ. ლ. ჭრელაშვილისაგან 1 მან. სოფლად ხოლერით დაზარალებულ ღარიბთა სასარგებლოდ. ამ ფულისა დღემდე გვქონდა რედაქციაში 230 მან. 50 კაპ. ამითი შესდგა 234 მან. 50 კაპ.

*** მუშა და ღარიბ ხალხისათვის ჩვენს რკინის გზაზედ შემოიღეს მეოთხე კლასის ვაგონები და მალე დაიწყობენ მუშაობას.

*** მალე შესდგება ახალი სამეცნიერო საზოგადოება, სახელად „საახოო“. ახრად ამ საზოგადოებას ექმნება შეისწავლოს აზია ეთნოგრაფიულის, ისტორიულის, ლინგვისტიურის ᲡᲔ ლიტერატურულის მხრით.

*** პოლიციამ უბრძანა ბაყლებს, წვანლიის გასარეცხად და გასაღალებლად დღეიდგან მტკვრის წყალს ნუ იხმარებთ, არამედ ავეკლის წყაროს წყლით გარეცხეთ წვანლიეულობაო.

*** ბაქოდგან გაქცეული ხალხი ბრუნდება ბაქოში, სადაც ხოლერა ნელდება. რომ ხელმეორედ სენი არ მოსდონ გაოხრებულ ქალაქს, პოლიციმეისტერი ბაქოსი სთხოვს მთავრობას, დაიწესე რამდენიმე სასანიტარო სადგური დაბრუნებულთა გასაშინჯადაო.

*** ერთს ოდესელ მეაფთიქეს ამ მკირე ხანში 12,000 მ. უშოვია სადეზინფექციო წამლების გასყიდვით კავკასიაში. თურმე ამ ყოჩაღ მეაფთიკეს წინდაწინვე იფიდე უყიდნია წამლები და ხოლერის დროს კავკასიაში ძვირად დაუწყია სყიდვა.

*** ბორჯომს: ხოლერამ აქაც იჩინა თავი. აგარაკად მოსულებს გულები დაუსკდათ. ბევრი აბასთუმანში აპირებდა გაქცეულს, მაგრამ ვერ მოახერხეს, რადგან აბასთუმანთან მისვლა-მოსვლა, მთავრობის განკარგულებას მთელს კაცობრიობასაო. რაც-კი რამ მოეძებნებოდა, ყველაფერს მოუყარა ქალაქმა თავი-თავს და იარაღად აქცია. რამდენიმე ათასი თუმანი ფული დასდო მცხოვრებთა დასახსნელად. დაიქირავა თითქმის ოცამდე ექიმი და დაავალა, რომ საც-კი ხოლერამ იჩინოს თავი, გაჭანდით, მუქთად უშველეთ გაჭირვებულს და ხოლერიანი ადგილები ისე გასუფთავეთ, რომ იქ ბაცილებს აღარ შეეძლოთ გაძლებაო. რაც-კი საეკვო საცმელები ჰნახოთ, ქვეშსაგები, ყველაფერი გადაწვით და გადაბუგეთ—მე ვზღავ ერთი-ორადაო.

ამისთანა თადარიგის დაჭერამ, თქვენც თითონ კარგადა ხედავთ, რაცა ჰქმნა. თვალ-საჩინო შედეგი ამისი იყო ისა, რომ საშინელმა ჭირმა ტფილისში ვერ გაიკეთა ბინა. ბრძოლის ველი არ დაუთმო მას ქალაქმა და თუ სადმე ქურდულად შემოგვეპარება ხოლმე, მაშინვე მისცევიან ჩვენი სარდალი-ექიმები და იქვე საქვეყნოდ ანადგურებენ. აგერ ხუთ კვირაზედ მეტია, რაც ხოლერამელიც მოვდო მთელს ქვეყანას. ბაქო დაღუპა უბრუნველობამ, სიმხდალემ და უპატრონობამ. ვინ იცის, როდის-ღა გაიმართება კვლავ წელში.

**

ერთი ათად მაინც მდიდარია ბაქო ტფილისზედ. ბაქოში ზოგი ისეთი შეძლებული კაცები იყვნენ ამ ერთის თთვის წინად, რომ ზოგის მთგანის წლიური შემოსავალი ნახევარ მილიონ მანეთამდისა სჭრიდა. ერთ-ეთსაც რომ ხელი აეღო მხოლოდ ერთის თთვის შემოსავალზედ და პირველშივე საკირო შემწეობა აღმოეჩინა მცხოვრებთათვის, არა თუ დაიხსნიდა განსაცდელისაგან იმ ქალაქს, რომელმაც უთვალავი ზინეთი ჩაუდო ხელში, დაიხსნიდა მთელს კავკასიას და მთელს რუსეთსაც. თავისი მილიონები ხომ ხელუხლებელი დაჭიჩებოდა.

სრულებით სხვაფრივ დაჰხედა მტერს ჩვენი ქალაქი. ტფილისის თვითმმართველობამ დაინახა რომ, ხოლერა ხრულებითაც არ ხუმრობსო და საშინელის მრისხანებით უპირებს გამკლავებას მთელს კაცობრიობასაო. რაც-კი რამ მოეძებნებოდა, ყველაფერს მოუყარა ქალაქმა თავი-თავს და იარაღად აქცია. რამდენიმე ათასი თუმანი ფული დასდო მცხოვრებთა დასახსნელად. დაიქირავა თითქმის ოცამდე ექიმი და დაავალა, რომ საც-კი ხოლერამ იჩინოს თავი, გაჭანდით, მუქთად უშველეთ გაჭირვებულს და ხოლერიანი ადგილები ისე გასუფთავეთ, რომ იქ ბაცილებს აღარ შეეძლოთ გაძლებაო. რაც-კი საეკვო საცმელები ჰნახოთ, ქვეშსაგები, ყველაფერი გადაწვით და გადაბუგეთ—მე ვზღავ ერთი-ორადაო.

ამისთანა თადარიგის დაჭერამ, თქვენც თითონ კარგადა ხედავთ, რაცა ჰქმნა. თვალ-საჩინო შედეგი ამისი იყო ისა, რომ საშინელმა ჭირმა ტფილისში ვერ გაიკეთა ბინა. ბრძოლის ველი არ დაუთმო მას ქალაქმა და თუ სადმე ქურდულად შემოგვეპარება ხოლმე, მაშინვე მისცევიან ჩვენი სარდალი-ექიმები და იქვე საქვეყნოდ ანადგურებენ. აგერ ხუთ კვირაზედ მეტია, რაც ხოლე-

ლებით, შეწყვეტილია. ბევრი მაინც გავიდა ბორჯომიდგან.

*** თაისუთი: ხოლერას ამბებმა აქამდისაც მოაღწია და არა მარტო ამბად, არამედ საქმითაც. ერწოში სოფ. თრანის მახლობლად ოთხი თუ ხუთი კაცი იმსხვერპლა.

*** საგურამო (დუშეთის მაზრა): ყველაზედ ძალიან თავი იჩინა სენმა სოფელს ჯიღაურაში: მცირე ხანში რვა კაცი მოკვდა და ცხრაც ავად არის. ამ სოფლის მცხოვრებთა რიცხვი-კი თოთხმეტს კომლს არ აღემატება. საჯიროა მოშველება ექიმისა და წამლებისა. ხალხი სწუხს და აღარ იცის, რა ჰქნას.

ბიწმენდშიაც მოკვდა ერთი იმერელი ხოხველით. ქალაქიდან იყო მოსული. ხალხი ახლოს არ მიეკარა და მიცვალებულის ძმა, რომელიც აქმებაღეად იყო, იძულებული შეიქნა თვითონ გაეთხარა საფლავი ბაღის ბოლოს და მარტოკას დაემარხნა. დამარხა-კი და თვითონაც შიშით მეორე დღეს იმერეთისკენ გაიქცა და თან გაჰყვნენ დანარჩენი მებაღეებიც და თავიანთ ნამუშევარზედ ხელი აიღეს. მართალია აქ ერთი ფერშალია, მაგრამ ოთხი სამამასახლისო აბარია და აბა რას გახდება.

ბიწმენდის მცხოვრებნიც გახიზნას აპირობდნენ ტყეებში, მაგრამ დავიშვიდეთ და ეხლა სასოფლოდ ფული გამოიღეს და სხვა-და-სხვა წამლებს ჰყიდულობენ. ერთის სიტყვით, ზრუნვა და დახმარებაა საჭირო, თორემ შეიძლება ჯიღაურას დღე ყველა სხვა სოფელსაც დაადგეს.

*** ხადარა: (შორაპნის მაზრა): აქაური ხალხი ფრიად შეაძრწუნა ხოლერის მოახლოვების ამბავმა. შეშინებული ხალხი დაუყოვნებლივ ასრულებს პოლიციის ყოველსავე ბრძანებას: იქნება ღმერთმა მოგვხედოსო და გადავრჩეთ როგორმეო—თასს ნაირმა ჭორმა შიში უფრო გააძლიერა. ქალებმა ხომ იშოვეს და იშოვეს სალაყბო: ისრეთის ფანტაზიით შემოსულან ხოლერის ძალას, რომ თავის ლაპარაკის შიშის ტრუანტელი თვითონვე უჭნდებათ. პოლიციის ბრძანებით აქ აგეგს სამკურნალო, რომელიც შიგ სოფლის

რამ პირველად იჩინა ტფილისში თავისი საზიზღარი თავი, და აქამომდე წაგვგლეჯა ხელიდგან ას-ოცი მსხვერპლი, როდესაც სხვა ქალაქებს თითოეულს დღეშიაც-კი არა ჰყავდა-ლებოდა ამდენის ადამიანის სიცოცხლესა. უნდა მოგახსენოთ, რომ არც ას-ოცს კაცს დაკარგავდით ამ ვაკ-კაცურს ომში, რომელიც გამოუცხადა ქალაქის თვითმმართველობამ ხოლერას, რომ ჩვენში თითონ ხალხს არ შეეწყო მისთვის ხელი და დროზედ მიემართნა თავისს მხსნელებისთვის. მაგრამ, ხომ იცით, ციხე შიგნიდგან გატყდებაო. უმეცრებამა და სირეგვნემ გაუღო ციხის კარი ხოლერას და იქამდე არ შეატყობინა ექიმებს, მანამ შინ შემოშვებულმა მტერმა არ დაანახვა უმეცართ თავისი ბასრი კლანჭები. რა-კი სხეულს დაუარა ჭირმა, მორჩენა ერთი-ათად ძნელია.

**

ეხლა სენმა გაიწია პატარ-პატარა ქალაქებისა და სოფლებისკენ. უბადრუკი გორი უთავოდ იყო დღემდე ამ საშინელს დროს, და მართალი

გზაშია გაკეთებული. სამკურნალოს ახლოს არის მშვენიერი წყარო, რომელსაც სვამს თითქმის მეოთხედი სოფელი, და თუ ეს სენი გვეწვია, მაშინ ხალხი ამ წყაროს მოერიდება და სხვა-კი ძლიერ შორს ექნება. საჭირო, რომ სამკურნალო სხვაგან გადაიტანონ და სოფელს მოაშორონ.

*** სოფ. ხორგი: (ზუგდიდის მაზრა): თუ ხოლერის გაჩენა ცუდ-ჰაერსა და სიბინძურე-უშვინდურებაზეა დამოკიდებული, პირველად უთუოდ აქ იჩენდა თავს; მაგრამ ადგილობრივი ბოქაული ბ-ნ ბ. გაბუნია მხნედ შეუდგა სიბინძურე-უშვინდურების მოსპობასა და ამ გარემოებამ ბევრი უშველა სოფელს. როგორც ყველა სხვა საქმეს, ამ საქმესაც მარჯვედ და მხნედ შეუდგა ბოქაული. ყოველგან სადაც ჭაობები იყო, აშრობენ, სწმენდენ და ასუფთავებენ გზებს, ეზოებს, აგრეთვე თხრილებში ჩარჩენილ წყლებს აშრობენ. ამასთან ძალევს ხალხს შესაფერს დარიგებას ხოლერის გაჩენამდე, წინ-და-წინვე გამოსაყენებელს მაგრამ მარტო ესეები არ კმარა, მკვიდრნი ამ სოფლისა თითქმის 1,000 კომლი აღემატება—არც ფერშალი და არც ექიმი ჩვენ აღარ გვყავს. მაზრის მკურნალი ერთობ გვეშორება, რადგანაც 36 ვერსტის სიშორეზეა ჩვენგან ზუგდიდი და ან სად მოიცლის ჩვენთვის ამისთანა შიშინარბისდროს. დიდი შადლობელი ვიქნებით იმისი, ვისაც ჯერ არს ამისთანა მდგომარეობაში ყურადღებას მოგვაქცევდეს ⁄ მოიწვევდეს ჩვენთვის მკურნალს ან გამოცდილს ფერშალს. ამ საშიშ თვეებში მაინც დაჯილდოვებას საკმარისის ჯამაგირით საზოგადოება დიდის სიამოვნებით იკისრებს, ისე დაშინებულია ხოლერის შიშით.

ამას გარდა, აქ მეტი არ იქნება ჩემის აზრით, რომ გაწსაკუთარებულ ყურადღებას მიაქცევდეს ბოქაული ქვემო ნაწილს ხორგისას სახელდობრ ქარიატას, სადაც ორი ტბაა ნიადაგ ჩამდგარ ჩამაღლის წყლით სავსე, იქიდამ ისეთი საძაგელი და საზარელი სუნი ამოდის, რომ მეტი აღარ შეიძლება. ერთის სიტყვით, ეგ ორი ტბა თავის სუნით სიცოცხლეს უშამლავს აქაურ ახლო-მახლო მცხოვრებთ და წუთი-სოფელსაც აღრევე ასალმებს.

გითხრათ, ჩვენ არ გვესმის, თუ არ ეხლა, მაშ სხვა დროს რიღასთვის უნდა თავი? თქმა არ უნდა, რომ თუ დროზედ არ გამოუჩნდნენ გორს მზრუნველნი და პატრონნი, ისიც ისეთს საწყევარს სახელს დაიკვიდრებს ქვეყნის წინაშე, როგორიც მოიხვეჭა შერცხვენილმა ბაქომ. მაგრამ საცა გორს, თვით-მმართველობიან ქალაქს, ასეთი საშინელი განსაცდელი უდგა წინ, რაღას იტყვით ჩვენს სოფლებზედ, რომელთაც ასე ძნელად მიაწვდის მკურნალი მეცნიერებით შეიარაღებულს ხელს! აქ ღვთიური მოვალეობა იწევს შეგნებულს კაცს არაფერი არა დაზოგოსარა ხალხის დახმარებაში. მერე, განა მარტო ფულით ეჭირვება ჩვენს ხალხს დახმარება! აბა ერთი წაიკითხეთ სოფელ ურბნისიდგან გამოგზავნილი კორესპონდენცია მღვდელის მეტრეველისა. რამწამს ხოლერიანი ავადმყოფი აღმოჩნდა ურბნისშიო—სწერს მაგა მეტრეველი—მაშინათვე დავწერე ბარათი მაზრის უფროსთან და ვსთხოვე მამასახლისს, რომ დაუყოვნებლივ გაეგზავნაო. მამასახლისმა

ამ ტბების ცუდს გავლენას კაცის ჯან-მრთელობაზე, თვითონ აქაურ მცხოვრებთ სახის შეხედულობა ამტკიცებს. ნიადაგ—ციებ-ცხელებიანების ფერი ადევთ და სხვა-და-სხვა ნაირ მანკით შეპყრობილნი არიან. ამიტომ კარგი იქნება ბოქაული ამ ხოლერის შიშით მაინც მიიღებდეს ღონისძიებას ამ ტბების ამოსაშრობლად და გასასუფთავებლად; არც დიდი სამძიმოა ამათი დაშრობა. საჭიროა თხრილის გაყვანა მდინარე ხობის წყალამდე, რომელიც ახლო მოდის, რომ ჩამდგარი წყალი გაუშვან და ამ გვარად ამაშრონ ეგ კაცთა სიცოცხლის მომშწამლავი და შემამოკლებელი ტბები.

*** ბარის ოსეთი: აქეთაც ამ ჟამად, როგორც სხვაგან ყველგან, მარტო ხოლერაზედღა არის ლაპარაკი და დიდ დუმილშიაც ჩააგდო ბარის ოსები; მეტადრე ეხლა, როცა ზოგ-ზოგ სოფლებში რადაც ხოლერის მზგავსმა ავადმყოფობამ იჩინა თავი. სოფ. ოლგიწყაანში რამდენიმე იმსხვერპლა ამ სენმა; სოფ. ხუმელაგაში, ცხრას ამ თვეეს ერთი ყმაწვილი კაცი გახდა ავათ და მეორე დღეს გარდაიცვალა. იმავე დღესვე გახდა ავად ორი კაცი და სამიც მეორე დღეს, მაგრამ ყველანი კარგად არიან. ავად უცაბად გახდებიან ხოლმე, მაშინვე პირიდგან და ტანიდგან საქმისა უვარდებათ, ხელ-ფეხის მანკეა-გრეხა და ტანის სიცივეც ჰყვებათ ხოლმე, მაგრამ ღვთის მადლით ხუმელაგაში ზემოდ მოხსენებულ ორიოდე შემთხვევის გარდა, ჯერ აღარც ავად გამხდარა ვინმე და აღარც დაზარალებულა.

ურიგო არ იქნებოდა, რომ დახელოვნებულ ექიმს შეემოწმებინა ეს სენი და მით დაემშვიდებინა შეშინებული ხალხი.

*** ოქდამეკ: თორმეტს ამ თვეეს, სოფ. ხუმელაგაში მრევლის მღვდელმა მ. ნ. ბაკურაძემ, ჩვეულებისამებრ წირვა შეასრულა ეკკლესიაში და შემდეგ წირვისა, წარმოსთქვა სიტყვა საზარელის სენის შესახებ. შემდეგ იქვე საყდრის და სკოლის წინ მოედგა ზედ, მაგ. ბაკურაძემ მრევლის თანადასწრებით სამადლობელი პარა-

---

შემიყარა გლეხ-კაცობა, რომელნიც მომადგენენ თავს შემდეგის მუქარითაო: „მღვდელო, თუ შენ ვისთვისმე გაგიგებინებია, ან ჩვენ ვიქნებით, ან შენა. გინდა სოფელი დაჭიუპო? აქ პოლიცია მოვა და ცოცხალს თუ მკვდარს დაგვწვენ და ვისაც-კი თავი წამოსტკივდება, ყველას საწამლავს მოგვაკვლენ და დაგვხოცავენო“. ხოლერაზედ უარესი მტერი ჩვენის სოფლისა ეს საშინელი უმეცრებაა, რომლის წყალობითაც ხოლერამ გაიკვერა გზა ურბნისში და გაიკვერავს, ჩვენდა საუბედუროდ, სხვა სოფლებშიაც. მთელი ორი კვირა მძვინვარებდა ხოლერა სოფელშიო, შვილები ავად დამიხდა, ერთი კიდეც გარდაიცვალა, და ძლივს ვაცნობე მაზრის უფროსსაო. აი სად უჭირს დახმარება სოფელს. აი, მისი საშინელი, ხოლერაზედ უძლიერესი სატკივარი, რომელიც ჰღალადებს ხმა-მაღლა და რომლის მკურნალობა შეადგენს უმთავრესს საგანს ყოვლის მცოდნე და გულ-შემატკივარის მამულიშვილისას. აქ მარტო გზეთით ვერას გავხდებით. აქ საჭიროა შეერთებული

ენერგია, თავ-დაუზოგავი მხნეობა მწერალისაც, მოხელისაც, მღვდელისაც, ბერისაც და საზოგადოდ ყოველის შვენებულ ს მწიგნობრისა...

**

ნეტა ვიცოდე, სად არიან ის „მხნე“ ახალგაზდანი, რომელთაც გაბმეს უშველებელი ქსელი მრავალის კომიტეტებისა, უზბაზებისა, უსტაბაშებისა და თითქმის ყიზილბაშებისაც-კი მთელს კახეთსა და ქართლში, რომ აებათ საზოგადოებისთვის თვალი და თეთრი შავად ეჩვენებინათ, მოეცხოთ ჩირქი იმისთანა კაცთათვისაც-კი, რომელნიც დგანან გარეშე პარტიობისა და თავ-განწირვით ემსახურებიან სამშობლოს ყოველ იმ იარაღით, რაც-კი მოეპოვებათ თავიანთ არსენალში? სად არიან ის საყვირნი იერიქონისანნი, რომელნიც ასეთის ვაჟ-კაცურის რიხით გვიქედადდნენ ყურებს და გვარწმუნებდნენ—ორჯელ ორი ხუთიაო? რატომ არ ისმის მათი თავგამოდებული ხმა, სამშობლოს დასახსნელად მიმართული? რატომ ეხლა, ამ ნამდვილ გაჭირვების დროს, არ შეადგენენ კომიტეტებს, არ დაჰნიდის მასწავლებელს სტატსკი სოვეტნიკს ანტონ ნატროშვილს; ქუთაისის სასუდიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწეს, ივანე გაფრინდაშვილს, თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებს: ქრისტოფორე ზარაფაშვილსა და თეოდორე ზვერიოვს.

საქართველოს საეკლესიოში

ა) წმ. ეკლესიისა მე-3 ხარისხის ორდენი: ტფილისის პირველ კლასიანურის გიმნაზიის საღმრთო წერილის მასწავლებელს, დეკანოზს გიორგი ხელიძეს;

ბ) წმ. ანნას მე-2 ხარისხის ორდენი: ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორს, არხიმანდრიტს ტიხონს; გურიან-სამეგრელოს ეპარქიის, ფოთის საკათედრო ალექსანდრე ნეკეულის ტაძრის დეკანოზს, გრიგოლ მაჭარაშვილს; იმავე ეპარქიის, კიბილის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის დეკანოზს, სამსონ ანჯაფარაძეს;

გ) წმ. ანნას მე-3 ხარისხის ორდენი: იმავე ეპარქიის, ფოთის საკათედრო ალექსანდრე ნეკეულის ტაძრის მღვდელს, ზოსიმე ყორდანიას.

ხელმწიფე იპერატორმა, საკეკლესიურო საბჭოს მოწმობისა თანახმად, 1892 წლის თებერვლის 3-სა დღესა, უმაღლესად კეთილ-ინება და დაჯილდოვა ქუმოსსენებულნი პირნი სასულიერო და საერო წოდებისანი წმ. ანნას მე-3 ხარისხის ორდენით, ამა ორდენის წესდებულებისამებრ:

საქართველოს საეკლესიოში: ქალ. ტფილისის ბერძენთა წმ. ნიკოლოოზის ეკლესიის დეკანოზი ალექსანდრე ზუმბულიძე; გურიან-სამეგრელოს ეპარქიის სოფ. ნიგოთის ეკლესიის მღვდელი ევთიმე კალანდარაშვილი.

დაბა ⁄ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ბეჟათუბნის საზოგადოება (შორაპნის მაზრა), 17 ივლისი. კაი ხანია, რაც ბეჟათუბნის საზოგადოებაში შეუდგენენ სოფლების გასუფთავებას. მადლობის ღირსია ხარაგაულის ბოქაული ბ-ნი ალექსანდრე წერეთელი, რომელიც მხნედ შეუდგა თავის

შნაევენ ასის თავებს, უზბაშებს, მთავარ-სარდლებს, რომ ცოტათი მაინც გაუხილონ თვალი ხალხსა და უჩვენონ ხსნა ჭირისაგან!

ეტყობა, მასლაათების გაბმა უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე სამსახური ქვეყნისა, მეტადრე როდესაც მსმენელნი არც ჭკუას ეძებენ ნალაპარაკევში, არც გამოცდილებას, არც სიფაქიზეს ზნეობისას და არც უმანკოებას გულისას, თორემ ვისაც დაუშრეტელი ხუროში აქვს ლაპარაკისა, ამაზედ მარჯვე დროს როდის-და შეესწრობა! მიბრძანდით, ბატონებო, ეჩვენეთ ხალხს, ჩაგონეთ, გაფთხილეთ, დაარიგეთ. ქვეყანაც მადლობელი დაგრჩებათ და თქვენ კიდევ უფრო გაიმაშრებთ „სიტყვების“ წარმოთქმის, დაჰხელოვნდებით და ერთს დროს იქნება კიდეც გამოგადგეთ. თქვენ სიტყვით, სხვები კალმით და, ერთი ადამიანიც რომ გადაარჩინოთ ხოლერას, ერთის სიცოცხლეც რომ წაჰგვლეჯოთ ხელიდგან ამ დაუნდობელს სენსა და საშვიდობოში გამოიყვანოთ, ეგეც დიდი ღვაწლი იქნება...

სანდ.

საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი.

უმაღლესი ჯილდო

ბრძანთ: წმ. სტანისლავისა მე-3 ხარისხისა: ტფილისის სასულიერო სასწავლებ-

საბოქაულოს სოფლების გასუფთავების საქმეს.

14 ივლისს ბეჟათუბნის საზოგადოების კანცელარიაში შეგროვილი იყვნენ ამ საზოგადოების მკვიდრნი, რომელთაც შორაპნის მაზრის უფროსმა ბ-ნმა ი. ჯაყელმა მისცა ადგილად გასაგების ქართულის ენით დარიგება იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებაა საჭირო, რომ ხოლერას აშორდნენ და, როგორ უნდა მოიქცნენ, თუ ვინიცობაა ეს დაუპატიჟებელი სენი ეწვია ხსენებულს საზოგადოებას. ბ-ნმა მაზრის უფროსმა დაავალა საზოგადოებას, დაუყოვნებლად აეშენოს ხუთი საავადმყოფო სახლი ბეჟათუბნის წყალზედ, გაამხნევა ხალხი და აღუთქვა თვისის მხრით ყოველივე დახმარება და შემწეობა, შეძლებისა და გვარად.

15 ივლისს წმ. კვირაკეს და ილარიას დღესასწაული იყო სოფელს დეისში, სადაც ხალხი ბლომად დაესწრო. ამ დღეს საეკკლესიო გალობა სოფლის ეკკლესიაში, რომელშიაც მლოცველები მხოლო

თეᲘᲠᲐᲜᲘ. სპარსეთის რამდენსამე პროვინციაში ხოლერა განელდა.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. მთავრობამ გადასწყვიტა, ნუ გავმართავთ საერთაშორისო გამოფენას ბერლინში.

პეტერბურგის ბირჟა, 17 ივლისი

	მიღებულ ლსა.	გაგზავნილ ლსა.	მაუწოდებელ ლსა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ᲮᲣᲗᲘ-ᲛᲐᲜᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲝᲠᲛᲝ ᲢᲣᲛᲑᲝᲚᲘᲡ ᲙᲣᲞᲝᲜᲘᲡ	7,98	8,03	— ,,
ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲠᲬᲔᲚᲘᲡ	159½	160	— ,,
5% ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘᲡ ᲡᲔᲚᲭᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘ	1,08	1,10	— ,,
ᲛᲔᲝᲠᲔᲡᲘ	— ,,	— ,,	235½
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲐᲒᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲔᲑ.	— ,,	— ,,	224
ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ	— ,,	— ,,	— ,,
ᲒᲘᲠᲐᲕᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘᲡ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ:			
6%	— ,,	— ,,	— ,,
5%	— ,,	— ,,	— ,,
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ 6%	— ,,	— ,,	— ,,
5%	— ,,	— ,,	— ,,
5% ᲝᲑᲚᲘᲒᲐᲪ. ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ-ᲓᲘᲢᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐ	— ,,	— ,,	— ,,

ᲒᲐᲛᲝᲬᲚᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲬᲚᲕᲚᲐ

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაკოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაკოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲒᲔᲚᲘ:

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲨᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ:

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: საღამოზე, ოდესიდ გან, შორის გზით. ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲗᲘ, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ დილით, სტამბოლიდგან.

ᲤᲝᲗᲨᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, სალამზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გადისაღამ.

ᲤᲝᲗᲝᲓᲐᲜ ᲒᲐᲒᲔᲚᲘ:ᲜᲘ

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითსაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაზღლოდ.

ᲜᲘᲪᲠᲘ

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წოთელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „
ᲯᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲚᲐᲕᲐᲨᲘ.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ტფილისის საადგილ-მამულო საოთავად-აზნაურო ბანკის გამგეობისაგან.

ტფილისის საადგილ-მამულო საოთავად-აზნაურო ბანკი ამით აცხადებს, რომ 31 ივლისს ამა 1892 წლისას დანიშნულია თავისუფალ ვაჭრობით გასყიდვა იმ მამულისა, რომელიც ეკუთვნოდა თ. ლუკა ევსტატეს ძეს თარხან-მოურავს და რომელიც დარჩა ბანკს, რადგან არ მოხდა ვაჭრობა 29 დეკემბერს 1884 წელს დანიშნული.

ეს მამული არის ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ მუხაურს, ზემო-ხანდაკს და ახალციხეს. შეიცავს სახნავს, სასახლ-კარო, საძოვარს და სავენახე ადგილებს და ტყეს, ზომით 263 დესეტინას 953 ოთხ-კუთხ საჟენს, ანუ რამდენიც აღმოჩნდეს.

ამ მამულზედ ირიცხება ვალი 7409 მან. 66 კაპ. ამ ფულიდგან დაიწყება ვაჭრობაცა. მსყიდველი მოვალეა წარმოადგინოს, თუ ვაჭრობაში შემოვა, 307 მან. 50 კაპ. თავნი ვალი-კი შესაძლოა გადატანილ იქმნას მსყიდველზედ, მხოლოდ იმ პირობითაკი, რომ იხადოს სარგებელი იმ ფულისა, რომელიც პირველშივე თავნვალად ედო ამ მამულს, ესე იგი 8200 მან. ვაჭრობა დაიწყება დილის 11 საათზედ. (1—1)

საკომერციო კურსები

(ტფილისი მთის ქუჩა, № 9)

ამით ვაცხადებ, რომ ამა წლის ივნისში ეს მეათედ შეასრულეს სპეციალური საკომერციო სწავლა მოსწავლე ქალებმა და ვაჟებმა იმ პროგრამაით, რომელიც დამტკიცებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ, და მიეცათ კიდეც ჯეროვანი მოწმობანი. ვისაც სურს საკომერციო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი სამსახურში მიიწვიოს, შეუძლიან მიმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს.

საკომერციო კურსებში მიღება დაიწყება 1 ენკენისთვიდგან. პროგრამისა და კურსების წესდების მიღება და დამაარება შეიძლება კურსების საადგილმიდგან და ძმათა წყალობისა ნოვოროვების ბანკის კანტორაში, სიონის ქუჩაზედ. (24—80—5)

ᲨᲔᲨᲐ

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲬᲧᲝᲜᲗᲐᲨᲘ

რკინის გზის ვაგზალთან, ყორღანოვის ცხენის რკინის გზის ლიანდაგს ახლო.

ისყიდება შეშა წვრილ-წვრილად, ½ კუბიკურ საჟენიდგან დაწყებული, ხმელი სამხარეული და პურის საცხობი შეშა უფრო იაფ ფასად, ვიდრე ურმობით იყიდება. აქვე ყიდულობენ ნარდად შეშას ტყის პატრონ თაგან. 10—10

კბილის ექიმი
Ა. Ი. ᲝᲠᲑᲔᲚᲘ

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲙᲘᲚᲔᲑᲘ:

შუადღის 12-დგან ნაშუადღვამ 2 საათამდე.
საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

ᲙᲕᲘᲠᲐ-ᲣᲥᲛᲔᲝᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

დილის 8 საათიდგან ნაშუადღვამ 1 საათამდე. (150—77)

„ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲬᲘᲜᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲗ

	მან.	კაპ.
მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები		
ბნელო, მოთხრობა ნ. მელანდიანი.	„	40
ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . .	„	20
თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთა I, II და III ტომი თითო ტომი. .	1	40
იგივე მშვენიერის ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი		
ცალკე	2	50
სამივე ტომი. . . .	7	„
სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საქმელებისა	1	80
თხზულებანი ი. დავითაშვილისა	„	20
მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა	„	20
წყალობა პოემა მისივე .	„	20
სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა	„	25
თამარ, სპარსული ლეგენდა	„	10
დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა.	„	15
ცდა I, II და III ნაწილი.		
თითო ნაწ. ცალკე. .	„	50
სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა .	„	30
აქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა	„	50
ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა .	1	„
კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე	„	20
პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე .	„	50
საყმაწვილო ამბები მისივე	„	40
ძმურ სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა.	„	25
თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი	„	50
საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი	„	45
რამდენიმე მოთხრობა რაფფისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით.	„	25
სამი ცელქი, საყმაწვილო სურათებიანი წიგნი შ. მღვიმელისა . . .	„	20
საქართველოს ისტორია ბაქრაძისა	1	„
ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონდისა.	1	50
ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . .	„	40
ქართული გრამატიკა თ. ყორდანიასი	„	55

წიგნის გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება
ახალი წიგნი
ვახუშტი ბატონიშვილი
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ
1 წიგნი
ᲡᲐᲛᲪᲮᲔ
ვახუშტის საზოგადო „შესავალი“-თურთ.
გამოცემა
მოსე ჯანაშვილისა
ფასი 25 კაპ.

ПРИДВОРНЫЕ ПОСТАВЩИКИ

А. РАЛЛЕ и К°

НОВОСТИ! ПРИДВОРНЫЕ ДУХИ ПРИДВОРНОЕ МЫЛО ПРИДВОРНАЯ ПУДРА

ЦВѢТОЧНОЕ ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО.

НОВОСТИ! ДУХИ БѢЛЫЙ ИРИСЪ ПЕРСИДСКАЯ СИРЕНЬ ЛАНДЫШЪ.

21 ВЫСШИХЪ НАГРАДЪ

21 ВЫСШИХЪ НАГРАДЪ

ЯИЧНОЕ МЫЛО, ИЗОБРѢТЕННОЕ НАМИ въ 1846 г.

МЫЛО КАЗАНЛЫКСКАЯ РОЗА.

ЗОЛОТАЯ МЕДАЛЬ ПАРИЖЪ 1889 г.

ЗОЛОТАЯ МЕДАЛЬ ПАРИЖЪ 1889 г.

О-ДЕ-КОЛОНЪ ДИСТИЛИРОВАННЫЙ НА ЦВѢТАХЪ ВСЕВОЗМОЖН. ЗАПАХОВЪ.

СПЕЦІАЛЬНО ИЗГОТОВЛЕННОЕ ДѢТСКОЕ МЫЛО СЪ ГЛИЦЕРИНОМЪ

БАРХАТНАЯ ПУДРА ХОРОШО ПРИСТАЮЩАЯ НЕЗАМѢТНАЯ НА ЛИЦѢ.

А. РАЛЛЕ и К°

ПРОИЗВЕДЕНІЯ НАШИ ПРОДАЮТСЯ ВО ВСѢХЪ ПАРФЮМЕРНЫХЪ и АПТЕКАРСКИХЪ МАГАЗИНАХЪ РОССІЙСК. ИМПЕРІИ.

(12—12)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲠᲗᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

	მან.	კაპ.
გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები:		
1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . .	„	5
2) „ჩხუბი ერთი კვერცხისათვის“ ტოლსტოისა .	„	5
3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანელისა .	„	5
4) „ქართული ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა.	„	80
5) „რაგდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . .	„	50
6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე .	„	30
7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . .	„	40

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ბ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და აგრეთვე გურიის ყველა მასწავლებლებთან.

ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა.

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე 18 § ძალით ქვემო აღნიშნულს დღეებშიდ ბანკის გამგეობის საადგურში საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესაბამადრ გარდასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანხმად ბანკის წესდების მე 19 §-ისა, შეავსებენ ბანკის გარდასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნი ფულიდამ ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გარდასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშვნაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ ყოველ იმ ფულისა, რომელიც ბანკს თავისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს; ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიდებიან სახელდობრივის ფასისამებრ, მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მეოდველზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და